


24 საათი

გუშინ, 28 აპრილს, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელმა მრევლმა აღნიშნა ღვთისმშობლის მიძინების დღე - მარიამობა. საქართველოს ეკლესია-მონასტრებში აღევლინა საზეიმო წირვა-ლოცვა და შესრულდა მღვდელთმსახურება. გოლო წლები ტრადიციით ქართულ სალოცავებს მრევლი არ დაჰკლებია. ვულოცავთ საქართველოს მართლმადიდებელ მრევლს მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს.



მარიამობის დღესასწაულზე, თბილისი



მარიამობის დღესასწაულზე, თბილისი

აქარული განდაბანა დაქაბულობის უახლესი

გიორგი ასანიძე

აჭარის ხელმძღვანელობის ცენტრალური ხელისუფლება არაერთხელ დაუდანაშაულებია უამრავ მომავალდებულ ცოდვებში, დანაშაულებრივ ქმედებებში თუ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში. ედუარდ შევარდნაძეს, ზურაბ ჟვინიას, ვალერი ჩხვიძელს, ავთანდილ იოსელიანს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს, სხვადასხვა დროს, ბრალდებოდათ ტერორიზმში მონაწილეობა და თავად ტერაქტების ორგანიზება, "აჭარის ტერიტორიაზე დაზვერვითი და ძირგამომთხროვი მუშაობის წარმოება" და ა.შ. მართალია, ამ ბრალდებებთან დაკავშირებით არ დადასტურებულა, მაგრამ ოფიციალური ბათუმი ეჭვებისგან მაინც ვერ გათავისუფლდა. პირიქით: აჭარის ხელმძღვანელობამ ცენტრის მუხანათობის "დამადასტურებელი" კიდევ რამდენიმე "არგუმენტი" მოიძია და გუშინ ისინი სააკაროზე გამოიტანა.

ბაზრქადა A2 ბავრძა

ანიონი

თბილისი	22	☁
ქუთაისი	25	☀
ბათუმი	23	☀
ქობულეთი	23	☀
სოხუმი	24	☀
ფოთი	24	☀
თელავი	21	☁
ზუგდიდი	26	☀
გორი	20	☁

უცხოური ვალუტის

ოფიციალური კურსი

ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1900
ევრო	2.1335
გირვანქა სტერლინგი	3.3393
რუბლი	0.0694

მონოპოლისტებს შიმოღობა დაასახელებენ

სოფიკო ოხანაშვილი

ქართული ბაზრის ახალი მონოპოლისტების ვინაობა, დაახლოებით, ოქტომბერ-ნოემბერში გახდება ცნობილი. "ძველი მონოპოლისტები" კი ანტი-მონოპოლიური სამსახურის ხელთ არსებული ერთ-ერთი მექანიზმი იქნება, რომ ჩვენ ვარგულირით და თვალ-ყური ვადევნოთ გამოვლენილი მონოპოლისტების საქმიანობას. თავისთავად მონოპოლისტობა არ არის დანაშაული, უბრალოდ, როცა რომელიმე კომპანია ბაზარზე 35 ან მეტი პროცენტის მფლობელია, ეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ და უნდა დავაკვირდეთ, ვუთვალთვალოთ, რომ ამ კომპანიამ ახალ მენარმეს, ახალ ბიზნესს პარიერები არ შეუქმნას. ჩვენ სწორედ ეს უნდა დავარგულიროთ."

ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის არმაზ თავაძის განცხადებით, ამჟამად უკვე დასახელებული მონოპოლისტების მდგომარეობის გადაამოწმების და ახალი მონოპოლისტების გამოსავლენად, ბაზრის შესწავლის პროცესები მიმდინარეობს. არმაზ თავაძის თმით, ანტიმონოპოლიური სამ-

სახური აპირებს, გამოვლენილი მონოპოლისტების საქმიანობისა და მდგომარეობის რეგულირება დაიწყოს. "მარტო მონიტორინგის ჩატარება საკმარისი არაა. უფრო აქტიურად არის დასაწყები რეგულირება. ანტი-მონოპოლიური სამსახურის ხელთ არსებული ერთ-ერთი მექანიზმი იქნება, რომ ჩვენ ვარგულირით და თვალ-ყური ვადევნოთ გამოვლენილი მონოპოლისტების საქმიანობას. თავისთავად მონოპოლისტობა არ არის დანაშაული, უბრალოდ, როცა რომელიმე კომპანია ბაზარზე 35 ან მეტი პროცენტის მფლობელია, ეს ჩვენ უნდა ვიცოდეთ და უნდა დავაკვირდეთ, ვუთვალთვალოთ, რომ ამ კომპანიამ ახალ მენარმეს, ახალ ბიზნესს პარიერები არ შეუქმნას. ჩვენ სწორედ ეს უნდა დავარგულიროთ."

ანტიმონოპოლიური სამსახური ბაზრის შესწავლის შედეგად წელიწადში ორჯერ ასახელებს მონოპოლისტების ვინაობას. ერთხელ - ოქტომბერ-ნოემბერში, მეორედ - თებერვალ-მარტში. 2001 წლის თებერვალ-მარტში ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ცხრა

მონოპოლისტი გამოვლინდა, ნოემბერში ძველ სიას კიდევ ექვსი მონოპოლისტი დაემატა. ამჟამად, თავადის ინფორმაციით, საერთოდ შესწავლილია 27 ბაზარი, რის შედეგადაც გამოვლენილია 15 მონოპოლისტის ვინაობა. ბაზრების ათვისების მიმართულებით მუშაობა ახლაც მიმდინარეობს. ანტი-მონოპოლიური სამსახურის უფროსი, სირთულეების მიუხედავად, კმაყოფილია მუშაობით მიღებული შედეგებით და უფრო მეტი წარმატების იმედიც აქვს. "ბაზრების შესწავლა ახალი საქმეა. ჩვენ ვცდილობთ, ყველა ბაზარი მოვიცვათ. ჩემი აზრით, ამას რამდენიმე წელიწადში მივაღწევთ", - განაცხადა არმაზ თავაძემ.

რაც შეეხება ახალი მონოპოლისტების ვინაობას, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი თავს იკავებს მათი დასახელებისგან. "აუცილებლად უნდა გადავხედოთ წინა სიას, რომელსაც, რა თქმა უნდა, ზოგი გამოაკლდება, ზოგიც დაემატება", - აღნიშნა არმაზ თავაძემ.

ბაზრქადა A3 ბავრძა

„ყოველი უცხოელი ივესტორის უკან აბანდურა დგას..“

არასამთავრობოების საპროტესტო მოძრაობა დროებით შეაჩერეს

გიორგი კალანდია

"საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯერჯერობით, საპროტესტო გამოსვლებს შეაჩერებენ", - განაცხადა "საქართველოს მენარმეთა გავრთიანების" პრეზიდენტმა ბონდო ზარნაძემ გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან - გიორგი ისაკაძესთან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრისას. სახელმწიფო კანცელარიაში შეხვედრას წინ უძღვოდა საპროტესტო გამოსვლები სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან და ერთობლივი აქციები ცალკეული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად.

გიორგი ისაკაძესთან არასამთავრობოების წარმომადგენლები რამდენიმე კონკრეტული მოთხოვნით წარდგნენ: პირველი, შეჩერდეს სტრატეგიული ობიექტების ("თბილგაზი",

"ელექტროგადაცემა-დისპეტჩერი-ზავია", "საქართველოს ელექტროკავშირი") გაყიდვისა და გასხვისების პროცესი; მეორე, რამდენიმე თვით გადაიდოს "იტერასთან" მოლაპარაკება, სანამ საქართველოსა და რუსეთის მთავრობები ერთმანეთთან ურთიერთობას არ გააგრძელებენ; იმავე "იტერასთან" დაკავშირებით, აუცილებელია საქართველოს მხარეს ერთობლივ კომპანიაში ჰქონდეს საკონტროლო პაკეტი; ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ ელექტროენერჯის ტარიფში გამოიძენოს რეზერვი, რათა მოსახლეობისთვის გადასახდელი ტარიფი არ გაიზარდოს. არასამთავრობოების წარმომადგენლების ჯგუფი ასევე მოამზადებს სტრატეგიული სანარკობის სიას, რომლებიც გასხვისებას არ ექვემდებარება.

ბაზრქადა A3 ბავრძა

პანკისის მოვლენებზე დასავლეთის გამოხმაურება უპრეცედენტო მხარდაჭერა იყო

ინტერვიუ სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტ არჩილ გეგეშიძესთან



არჩილ გეგეშიძე

ილია ლომიძის ფოტო

ჯაკა კვანცია

ბატონ არჩილ გეგეშიძესთან საუბარი, ბუნებრივია, ყველაზე აქტუალური თემით - რუსეთ-საქართველოს უკიდურესად გამწვავებული ურთიერთობებით დაიწყო.

ამ ურთიერთობების ქვაკუთხედი ერთი პატარა ხეობაა, სადაც დღეისათვის თავს იყრის ყველა ის პრობლემა, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში დაგროვდა. და მაინც, საიდან იღებს სათავეს პანკისის პრობლემა?

- პანკისის პრობლემა სათავეს ჩეჩნეთის ომიდან იღებს, მაგრამ სიტუაციის გამწვავებაში საქართველოს ხელისუფლების ცალკეულ სტრუქტურებსაც მიუძღვით წვლილი. მათმა უმოქმედობამ ან შეგნებულმა ქმედებებმა პრობლემა ამ კონდიციამდე მიიყვანა.

დღეს საკითხი ასე დგას: რა როლს თამაშობს ეს პრობლემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში? ცხადია, ურთიერთობები ამ ეტაპზე ძალიან დაძაბულია, თუმცა, ვიტყვი, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე ის არც არასდროს ყო-

ფილა კეთილმეზობლური. შესაბამისად, ასეთი ურთიერთობების დროს პანკისის თემა სათანადო გამოყენებას ვერცხვს. ეს არის ერთადერთი თემა, რის გამოც რუსეთს მიაჩნია, რომ შეუძლია, საქართველო გააკრიტიკოს და მის მიმართ პრეტენზიები გამოთქვას.

ყველა სხვა შემთხვევაში, რუსეთს თავდაცვითი პოლიტიკა უჭირავს, რადგან ბევრი შეცდომა თუ დანაშაული აქვს ჩადენილი და ქართული მხარე მას პრეტენზიებს მუდმივად უყენებს. ეს შეეხება აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკას, მრავალმილიონიანი სამხედრო ტექნიკის გაზიდვას თუ სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნას.

პანკისის თემა კი ის თემაა, როცა რუსეთი, პირიქით, აქვე გვედგება და უნდა, ეს კარტი საქართველოსთან ურთიერთობაში მაქსიმალურად გამოიყენოს. ის ამ კარტის გათამაშებას სხვადასხვა ფორმით ცდილობს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ის ფორმა, რომელიც პანკისში გამოიყენა, მისთვის ნამგებია.

ბაზრქადა A2 ბავრძა

ზემფირამ პირველი სიმღერა ნაყინის ფულის გასაკეთებლად დაწერა

ორი დღის წინ ზემფირამ დაბადების დღე მშობლიურ ქალაქ უფაში საკუთარი კონცერტით აღნიშნა - მას 26 წელი შეუსრულდა. კონცერტზე იუბილარმა მსახურებელს თავისი ერთ-ერთი სიმღერის **Mayo**-ს კლიპის პრემიერა წარმოუდგინა. ტელემაყურებელი კი ამ კლიპის პრემიერას სექტემბერში იხილავს. მომღერლის ფანებმა 100-მანეთიანი ბილეთები ერთი თვით ადრე შეიძინეს. გამაყიდველებში ბილეთის ფასი გაცილებით ძვირი იყო.

ზემფირამ აღიარა, რომ პირველი სიმღერა მან ნაყინის ფულის გასაკეთებლად დაწერა. დღესდღეობით კი კონცერტიდან შემოსული თანხა, მას გაცილებით მეტ სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებს.

ტერორი ვერას დაგვაკლებს

ბროდვეის ლაბიონები 11 სექტემბერსაც ანთებული იქნება, თუმცა, თეატრების უმრავლესობა დახურულია. ისვენებენ "ლომების მეფე", "ოპერის ანრდილი", "უსახლკარონი" და "მამა მია!". რაც უფრო ახლოვდება მსოფლიო სავაჭრო ცენტრის დაცემის დღე, მით უფრო ნათლად იკვეთება, რომ 11 სექტემბრისთვის ბილეთების ყიდვის მსურველთა რიცხვი ძალიან შემცირებულია.

თუმცა, ნიუ იორკელებს გლოვის დღეს ბროდვეის შოუზე დასწრების სურვილი არ გააჩნიათ, გასული თვეების განმავლობაში ისინი დიდად ზრუნავდნენ **Big Apple**-ს ალორძინებისთვის. ისიც გაირკვა, რომ 2002 წლის ზაფხულის სეზონზე ბროდვეის თეატრების შემოსავალი გასულ წელთან შედარებით შეიძლება პროცენტით გაიზარდა. ამ დროს, გასათვალისწინებელია, რომ ტურისტების რაოდენობა ერთი მესამედით შემცირდა! როცა 11 სექტემბრის მოვლენებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში მსახურებელთა რაოდენობამ დრამატულად იკლო, ქალაქმა მილიონები გაიღო თეატრის გადასარჩენად. შედეგი სახეზეა: მხოლოდ ბროდვეი წელს 30 დასახელების თეატრალურ პროდუქციას სთავაზობს მსახურებელს: მიუზიკლებითა და საცეკვაო რევიუებით დაწყებული და დრამებით და ერთი მსახიობის წარმოდგენებით დამთავრებული. ეს მაჩვენებელი შარშანდელს ოთხჯერ, ხოლო შარშანწინდელს - ექვსჯერ აღემატება.

ხელოვნება მასებს

ლონდონის მუზეუმებში დიდი ცვლილებებია. მას შემდეგ, რაც შარშან დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მუზეუმის დათვალეირება უფასო სიახლოვნება გახდა, მნახველების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, პირველი შეიდი თვის განმავლობაში - შეიდი მილიონამდე. შესასვლელი ბილეთების თანხას მუზეუმებს სახელმწიფო უნაზღაურებს.

ნაციონალურ გალერეასა და ბრიტანეთის მუზეუმს, რომლებშიც შესვლა აქამდეც უფასო იყო, დიდად არ უხვირიათ: სახელმწიფოს მხრიდან არანაირი ხელშეწყობა არა აქვთ. ბრიტანეთის მუზეუმის დეფიციტი რამდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. სახსრების ნაკლებობის გამო რამდენიმე დარბაზი დაიკეტა და სხვათა გახსნის საათები შემცირდა.

თუმცა, ლონდონის მუზეუმების უმრავლესობა ამჟამად ძალიან კმაყოფილია, დამთვალეირებლების რაოდენობის ზრდას უარყოფითი მხარეებიც აღმოაჩნდა: მუზეუმის მესვეურებს უკვე აღიზიანებენ დამთვალეირებლები, რომლებიც ხელოვნების ტაძარში წვიმას აფარებენ თავს.

ალბანელი მინერვა

ალბანელმა არქეოლოგებმა ანტიკურ ქალაქ ბუტრინტიში 2000 წლის მარმარილოს ქანდაკება აღმოაჩინეს, 2,16 მეტრის სიმაღლის რომაული სიბრძნის ქალღმერთი მინერვა. ქანდაკება დაკანონულია, მაგრამ სხვა მხრივ საუკეთესოაა შენახული.

თითქმის 75 წლის წინათ, ტირანიდან 300 კილომეტრით სამხრეთით დაწყებული გათხრებისათვის, ეს პირველი დიდი აღმოჩენაა. 1992 წელს ბუტრინტი UNESCO-ს მიერ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში იქნა შეტანილი.

მაიკლ ჯექსონის ახალი სახე

პოპის მეფემ კინოში მეფობაც გადაწყვიტა: მაიკლ ჯექსონი ედგარ პოს როლს შეასრულებს ფილმში **The Nightmare of Edgar Allan Poe**. ამ როლის მომზადებაში მას მისი მეგობარი, მარლონ ბრანდო დაეხმარება. ფილმი 1849 წელს გარდაცვლილი მწერლის ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ მოგვითხრობს.



საქართველოში ქავერი

მ-07

პარსკვლავებს ხალხი ირჩევს



ანჯელინა კოლი

პოლიუდში, უკვე მეორე, მემილიონეუდ შექმნეს კინოს ულამაზესი ქალის ეტალონი. თუ აქამდე ქალის ეს პროტოტიპი, ძირითადად, ოდრი ჰეპბერნის გარეგნობაზე იყო აგებული, 21-ე საუკუნის საზოგადოებამ სხვა არჩევანი გააკეთა. ნაზევარ მილიონზე მეტმა კინოფანმა საუკეთესო სახის შესაქმნელად ეტერინ ზეტა ჯონსის თვალში, ჯეინიფერ ლოპესის ყვრილობები და ტაილუნის ცხვირი გამოიყენა. სხვათა შორის, კატეგორიამ – "საუკეთესო ცხვირი" წარდგენილი იყვნენ ლოპესი და პენელოპა კრუსიცი. თუმცა, ლეონა ორივე ქალბატონი დაჯავბნა. ანჯელინა ჯოლის გამოჩენამ რადიკალურად შეცვალა სურათი კატეგორიაშიც – "საუკეთესო პირი". თუ წლების განმავლობაში ამ ტიტულს ჯულია რობერტსი ფლობდა, ახლა პოლიუდური კინოს ფანები ერთბაშად მოიხიბლნენ ანჯელინა ჯოლის ბავებებით და გამარჯვებაც მას არგუნეს. თუმცა, პოლიუდის საყვარელ გოგონად შერაცხული რობერტსი ბოლომდე მაინც არ განირიეს – საზოგადოების აზრით, მას მთელ პოლიუდში ყველაზე სასურ-

ველი ვარცხნილობა აქვს. პარალელურად, არც ბრიტანეთში ცხრებიან. იქ მოდის კომენტატორები სუსანა კონსტანტინი და ტრინი ვუდლი ახალ გადაცემას "რა არ უნდა ჩაიცვათ" არსებენ და სპეცი-ალურ გამოკითხვასაც ატარებენ, რათა ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული ვარსკვლავები გამოავლინონ. წინასწარი მონაცემებით, საზოგადოება დიდად არც ერთ მსახიობს არ წყალობს. მათ აზრით, გვინებ პულტროუ, მოკლე შარვლების გამო, პატარა, გადაჭრილ კაცუნას ვაგს, შერონ სტონი არააკურატულად და ვულგარულად იცვამს, კრისტიანა აგილერას სტილიც ქუჩის ქალის ჩაცმულობას ჰგავს, ივანა ტრამპი 80-იანი წლებიდან ვერ გამოსულა, ჩერი ბლერს სტილი საერთოდ არ აქვს – ერთი მოდიდან მეორეზე უკიდურესად ერთვება, ჯონ კოლინზი კი ტონობით მაკიაჟს ხმარობს. საბოლოო შედეგებს, ბრიტანელი ჟურნალისტები 4 სექტემბერს გამოაქვეყნებენ. ალბათ, არავის სურს ცუდად ჩაცმული ვარსკვლავების საუკეთესო ოცენებში ლიდერის სტატუსს ფლობდეს.

რატომ ქრძალავენ ინდურ ფილმებს

ქაბულის ტელევიზიის ხელმძღვანელობამ ტელეეთერით ინდური მიუზიკლების ჩვენება აკრძალა. თუმცა, ბუნებრივია, ავლანელებს ხარისხსა და გემოვნებაზე პრეტენზია არ აქვთ. მთავრობას უფრო ის არ მოსწონს, რომ ინდურ მიუზიკლებში, ძირითადად, მღერიან. სწორედ სიმღერის გამო აკრძალეს რადიოთი ქალი მომღერლების შემოქმედების გადაცემა. ამგვარ საქმეებს რიგითი

ავლანელები თითქოს შერყეულები არიან. თუმცა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში მათ თავისუფლბასაც გაუფეს გემო, როცა თალიბანის რეჟიმის დამხობამ ყველანაირი მსგავსი აკრძალვა გააუქმა. მაგრამ, როგორც ჩანს, ქაბულის მცხოვრებლებს არ უმართლებთ. ჩრდილოეთის ალიანსის ძველი სიმკაცრის აღდგენა სურს და მუსიკას, თეატრსა და ფილმებს კვლავაც კრძალავს.

ფხვბურთი და 11 სექტემბერი

11 სექტემბრის აღნიშვნას ყველა სხვადასხვანაირად აპირებს. მედია ტერაქტების წლისთავის აღსანიშნად ტელეგადაცემებით, კონცერტებით, დოკუმენტური ფილმებით ემზადება. თავისი სიტყვის თქმას აპირებს მოდის სამყაროც. როგორც გაირკვა, ამ დღისთვის მსოფლიოს წამყვან დიზაინერებს ჯორჯო არმანი ამზადებს. ის აპირებს თავის კოლექციასთან ერთად ფორმულა ერთის მრბოლელები ფეხბურთის მატჩზე მიიწვიოს. ავტომრბოლელების და მოდელიერების გუნდები ერთმანეთს 11 სექტემბერს, მილანის "არენა" სტადიონზე შეხვდებიან.

თამაშიდან შესული თანხის დიდი ნაწილი ტერაქტებში დაღუპულთა ოჯახებს გადაეირიცხება. დანარჩენი კი გაეროს ბავშვთა პროექტს. არმანიან ერთად, ფეხბურთელის ბუცებს მასიმო ფერაგამო და კინეტროც მიორგებენ, ავტომრბოლელთა გუნდს კი მიხაელ შუმახერს, ჯანკარლო ფისიკელა, რიკარდო პატრეზე და გაბრიელე ტარკინი დააკომპლექტებენ. "დანარჩენ მთამაშემა სახელები მატჩის დღეს გაირკვევა", - აცხადებს ლონისძიების ორგანიზატორი სტეფანო ფერარი. მას იმედი აქვს, რომ ფეხბურთის ამ უცნაურ მატჩს ათი ათასი ადამიანი დაესწრება.

რალიონა - „ჭადი“

ავსტრალიაში 70 ათასზე მეტი ადამიანი თავს ახალი რელიგიური მიმდინარეობის – ჯედის მიმდევრად აცხადებს. ცნება, რომელიც საზოგადოების ცნობიერებაში ფილმ "ვარსკვლავების ომების" გამოსვლის შემდეგ დამკვიდრდა, ენერჯული ველის უზუნაესობას აღიარებს. სწორედ ეს ველი აძლევს განუსაზღვრელ ძალას ფილმის გმირებს – მბავლითად, ჯედის რაინდ ლიუკ სკუიუტერს. ავსტრალიელები სწორედ ამ ჯედის ეთაყვანებიან. როგორც გაირკვა, ახალი რელიგიური მიმდინარეობის ჩამოყალიბების იდეა ანიონიმური იმეილით

განჩნა – წერილი, რომელიც 2001 წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა, საზოგადოებას ჯედის რწმენით გაერთიანებას მოუწოდებდა. ავსტრალიელებიც დათანხმდნენ. თუმცა, ზოგმა ეს არასერიოზულად გააგათა – უბრალოდ, გართობა გადანვიცტა, მაგრამ არიან სრულიად სერიოზულებიც – დაახლოებით, ხუთი ათასი ავსტრალიელი მართლაც ფიქრობს, რომ ჯედი იც თავად სამყაროს უზუნაესობაა. ასეთი ავსტრალიელების მბავლითებ შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რაზემლა ძალა აქვს კინემატოგრაფს.

სკანდინავიური კროსვორდი

Table with 15 columns and 15 rows for a crossword puzzle. Includes a map of Scandinavia and a portrait of a man at the bottom left.

TV პროგრამა 29 აპრილი

Table listing TV programs for April 29th, including channels like Ruzhik and programs like 'რუსთავი - 2'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'პირველი არხი' and programs like 'პირველი არხი'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'მომრე არხი' and programs like 'მომრე არხი'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'მომრე არხი' and programs like 'მომრე არხი'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'მომრე არხი' and programs like 'მომრე არხი'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'მომრე არხი' and programs like 'მომრე არხი'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'მომრე არხი' and programs like 'მომრე არხი'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'მომრე არხი' and programs like 'მომრე არხი'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'მომრე არხი' and programs like 'მომრე არხი'.

Table listing TV programs for April 29th, including channels like 'მომრე არხი' and programs like 'მომრე არხი'.

ნავალი "სალზინო" ქართული ფლორის სამოცრეკა

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიძინევა შენელებული და გასმირებული შარდვა, შარდდენის დროს წვა, შარდსადენი სერვლის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი ნელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოზარდების სურვილის დაუგემოვნო ფილელობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნავალი "სალზინო" და ეს პრობლემები მოგხსნებათ.